სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მაკა კოჭაური

ინგლისური ლექსიკური ერთეულების აღქმა-გაგების პრობლემატიკა ტექსტის ავტონომიურად კითხვის დროს

(საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის ტესტის მასალებზე დაყრდნობით)

განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

(სპეციალობა: ინგლისური ენის სწავლების
მეთოდიკა)

წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თელავი

2017 წ.

ნაშრომი შესრულებულია სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მანანა ღარიბაშვილი
პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

შემფასებლები: ირმა მესირიძე
ასოცირებული პროფესორი, დოქტორი
ქეთევან კახიანი
ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის
მეცნიერებათა კანდიდატი

დაცვა შედგება 2017 წლის "_____" _____, _____ საათზე სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე: კორპუსი _____, აუდიტორია _____.

მისამართი: საქართველო, , თელავი, 2200.
ქართული უნივერსიტეტის ქუჩა N1.
ტელ.: +995 350 27 24 01

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და ვებგვერდზე: http:/tesau.edu.ge

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:
_____**ნინო ბასილაშვილი,**
ასოცირებული პროფესორი

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი

გლობალიზაციის პროცესი მნიშვნელოვნად ზრდის უცხო ენების, კონკრეტულად, ინგლისური ენის როლს სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საკომუნიკაციო თუ საგანმანათლებლო სფეროში. შესაბამისად, ძალზე აქტუალურია ინგლისური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის საკითხი. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად მილიონობით აპლიკანტი, 130-ზე მეტ ქვეყანაში, გადის TOEFL, IELT და CIE-ს გამოცდების ტესტირებას.

თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით უცხო ენის შემსწავლელს საშუალება აქვს, დამოუკიდებლად, ავტონომიურად იმუშაოს საკუთარ თავზე და მიიღოს განათლება. უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „ავტონომიურა სწავლა“ არც თუ ისე დიდი ხნის ისტორიას ითვლის.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ ყველაზე მეტი სირთულე ავტონომიური კითხვის დროს

ლექსიკური ერთეულების აღქმა-გაგებასთანაა დაკავშირებული.

იქიდან გამომდინარე, რომ თანამედროვე გლობალურ სამყაროში საერთაშორისო გამოცდები ძალზე მოთხოვნადი და საჭიროა, ვთვლით, რომ ჩვენი სადისერტაციო **თემა** საკმაოდ **აქტუალურია** და თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საკვლევი თემის ირგვლივ არც თუ ისე ბევრი ნაშრომია, ის თამამად შეიძლება ჩაითვალოს **მეცნიერულ სიახლედ** და საკითხის სიღრმისეულად შესწავლის პირველ მცდელობად.

სამუშაოს მიზნები და ამოცანები:

ჩვენ მიერ ჩატარებული **კვლევის მთავარი მიზანია**: დავეხმაროთ საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდაზე გამსვლელ აპლიკანტებს წინამოსამზადებელ პერიოდში, კითხვითი დავალებების ავტონომიურად შესრულების დროს, ლექსიკური ერთეულების აღქმა-გაგებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში.

კვლევის ამოცანები მდგომარეობს შემდეგში:

1. აქვს თუ არა ყველა შემსწავლელს ავტონომიური სწავლის თანაბარი უნარი?

2. რა სიძნელეებს აწყდებიან საერთაშორისო გამოცდებზე გამსვლელი პირები კითხვითი დავალებების შესრულების პროცესში?

3. ქმნის თუ არა ლექსიკური ერთეულების არცოდნა ბარიერს ტესტში შემავალი კითხვითი დავალებების შესრულების პროცესში?

4. შევიმუშავოთ პრობლემის გადაჭრის გზები;

5. დავაკვირდეთ, რამდენად დაეხმარება ენის შემსწავლელებს ჩვენ მიერ შეთავაზებული პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზები კითხვითი დავალებების ავტონომიურად შესრულების დროს.

მთავარი კვლევითი კითხვა: როგორ დავეხმაროთ საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდაზე გამსვლელ აპლიკანტებს კითხვითი დავალებების ავტონომიურად შესრულებისას ლექსიკური ერთეულების აღქმა-გაგების პრობლების

მოგვარებაში გამოცდის წინამოსამზადებელ პერიოდში.

კვლევის ობიექტი: ავტონომიური კითხვის დროს ლექსიკურ ერთეულებთან მიმართებით იდენტიფიცირებული პრობლემები, რომლებიც თავს იჩენს საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის ტესტის ფორმატში შემავალი კითხვითი დავალებების შესრულების პროცესში.

კვლევის ჰიპოთეზა: თუ საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდებზე გამსვლელ აპლიკანტებს, გამოცდის წინა, მოსამზადებელ პერიოდში, შევთავაზებთ სხვადასხვა სამეცნიერო თემატიკის მიხედვით დაჯგუფებული სიტყვების ჩამონათვალს ინგლისურენოვანი განმარტებებით და შესაბამისი დავალებებით, მათი ლექსიკური ერთეულების ცოდნის მარაგი უფრო გამდიდრდება, რაც მათ დაეხმარება კითხვითი დავალებების შესრულების დროს.

საკვლევი მეთოდოლოგია: კვლევის ჩასატარებლად გამოვიყენეთ შემდეგი

მეთოდები: რაოდენობრივი, თვისებრივი, ანკეტირება და დაკვირვება - ანალიზი.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება: ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა და შემდგომი მიგნებები პრაქტიკული ღირებულების მატარებელია ინგლისური ენის პროფესორ-მასწავლებელთა და საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდებზე გამსვლელი პოტენციური აპლიკანტებისათვის (სტუდენტი, მოსწავლე და სხვა).

კვლევის თეორიული ღირებულება: კვლევის თეორიულ ღირებულებას წარმოადგენს ყველა ის სამეცნიერო სახის ნაშრომი თუ პუბლიკაცია, რომელსაც დისერტაციაზე მუშაობის დროს გავეცანით და გამოვიყენეთ; ასევე, ჩვენ მიერ შემუშავებული დასკვნა-რეკომენდაციებისა და ექსპერიმენტის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებული თეორიული მიგნებები.

დისერტაციის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება შესავალის, ოთხი თავის, დასკვნის, გამოყენებული ლიტერატურისა და დანართისაგან.

I თავში, ,,სწავლის ავტონომიის (ავტონომიური კითხვის) პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები”, წარმოდგენილია საკითხის ისტორია და ავტონომიური კითხვის პედაგოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები.

II თავში, ,,სწავლის ავტონომია მეთოდოლოგიურ ასპექტში”, განხილულია სწავლა-სწავლების პრობლემატიკა, მოტივაცია და სწავლის ავტონომია შემსწავლელთა ტიპებთან მიმართებით.

III თავში, ,,საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის ტესტის კითხვითი დავალებები და ლექსიკური ერთეულების აღქმა-გაგების პრობლემატიკა”, მოცემულია საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის ტესტის კითხვით დავალებებში შესული ტექსტების ვარიაციები და განხილულია ლექსიკური ერთეულების აღქმა-გაგების პრობლემატიკა.

IVთავი, „ექსპერიმენტის მსვლელობა და მისი შედეგები“, ოთხ ქვეთავს მოიცავს. **4.1**. ქვეთავში დეტალურად არის

წარმოდგენილი კვლევის მიზნები და მეთოდოლოგია.

4.2. ქვეთავში მოცემულია წინასაექსპერიმენტო ისტორია და დეტალურად არის გაწერილი ყველა ის პროცედურა, რაც წინ უძღოდა ექსპერიმენტს.

ჩატარებული კვლევის პირველი ეტაპი ემსახურებოდა ურთიერთკავშირის გამოვლენას შემსწავლელთა ტიპებსა და ავტონომიური სწავლის უნარს შორის.

კვლევა ჩატარდა 2013 წელს. მასში მონაწილეობდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) სხვადასხვა სპეციალობის 118 სტუდენტი. კვლევის მიზანი იყო: 1. შემსწავლელთა ტიპების გამოვლენა ე.წ. VAK ტესტის საშუალებით; 2. დადგენა, თუ შემსწავლელის რომელ ტიპს უფრო მეტად აქვს ავტონომიური სწავლის უნარის განვითარების პოტენციალი, რისთვისაც ვიხელმძღვანელეთ ე.წ. SDLRS-ით.

კვლევის შედეგები:

ავტონომიურად მუშაობის უნარი	ვიზუალები	აუდიალები	კინესთეტიკები	შერეული ტიპი
დაბალი მაჩვენებელი	41%	42%	28%	33%
საშუალო მაჩვენებელი	22%	26%	36%	25%
მაღალი მაჩვენებელი	37%	32%	36%	42%

როგორც შედეგებიდან ჩანს, მკვეთრი სხვაობა შემსწავლელთა ტიპებს შორის ავტონომიურ სწავლასთან მიმართებით არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით კინესთეტიკებს, რომელთაც შედარებით უკეთესად აქვთ განვითარებული ავტონომიურად მუშაობის (სწავლის) უნარი.

კვლევის მეორე ეტაპის მიზანი საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის ტესტის სირთულეების გამოვლენა იყო.

შევადგინეთ **კითხვარი**, რომელიც დაახლოებით 70-მა თელავის სხვადასხვა საშუალო სკოლის მე–12 კლასელმა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კურსის

სტუდენტმა შეავსო. როგორც აღმოჩნდა, გამოკითხულთაგან ყველა (100%) ფლობს ზოგად ინფორმაციას საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდებზე. ყველაზე დიდი პოპულარობით (98%) კი TOEFL გამოირჩევა. რაც შეეხება ჩვენი კვლევისთვის ყველაზე აქტუალურ, საინტერესო კითხვას:

„ტესტის შესრულების დროს, რომელი ნაწილი მიგაჩნიათ ყველაზე რთულად:

1. მოსმენა;
2. უცხო ტექსტი, მასთან არსებული სხვადასხვა ტიპის დავალებით;
3. გრამატიკული ნაწილი;
4. წერა (წერილი, მოხსენება, ესე და ა. შ.), „შემდეგი პასუხები მივიღეთ:



საინტერესოა ის ფაქტი, რომ ტესტების შედეგებმა სრულიად განსხვავებული სურათი გამოავლინა.

კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობას კითხვით დავალებებში უფრო დაბალი შედეგი ჰქონდა, ვიდრე მოსმენაში. გრამატიკასთან და წერასთან მიმართებით შედეგები თითქმის დაემთხვა კითხვარის პასუხებს. ტესტის შესრულებისას გამოვლინდა, რომ:

- მოსმენის ნაწილში დაბალი შეფასება მიიღო 22 %-მა;
- კითხვით დავალებებში - 33 %-მა;

- გრამატიკული ნაწილის შედეგებში მაჩვენებელი თითქმის იგივეა, რაც გამოკითხვის მიხედვით - 8%;
- წერითი ნაწილის შესრულება გაუჭირდა 37 %-ს.



კვლევის შემდგომი ეტაპი საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის ტესტის კითხვითი დავალებების აღწერა და მათთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირებაა.

კვლევა დაფუძვნებულია თესაუ-ში არსებული ERASMUS+ ფარგლებში კრედიტების მობილობის პროგრამის 80–ზე

მეტი აპლიკანტის ტესტირების მონაცემებზე.

ქვემოთ წარმოდგენილია იმ დავალებათა მონაცემები, რომლებიც უშუალოდ ჩვენი საკვლევი თემატიკისთვისაა აქტუალური.

ქულათა პროცენტული მაჩვენებელი	I სიტყვათ წარმოება	II მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტი (ლექსიკური ერთეულების შერჩევა)	III მრავლობითი არჩევანის შემცველი ტესტი (წაკითხულის გაგება)	IV შეკვამება (წაკითხულის გაგება)	V ტექსტში გამოტოვებული წინადადებების ჩასმა
80% - 100%	6 სტ.	3სტ.	18 სტ.	0 სტ.	9
60%-80%	7 სტ.	28 სტ.	35 სტ.	9 სტ.	12 სტ.
40%-60%	32 სტ.	27 სტ.	12 სტ.	51 სტ.	25 სტ.
20%-40%	20 სტ.	20 სტ.	10 სტ.	15 სტ	24 სტ.
0%-20%	15 სტ.	2 სტ.	3 სტ.	5 სტ.	7 სტ.

კვლევის შემდეგი ეტაპი ემსახურებოდა იმ **კონკრეტული ლექსიკური ერთეულების (კატეგორიები და თემატური ჯგუფები) დადგენას, რომლებიც ყველაზე დიდ ბარიერს უქმნის აპლიკანტებს**

კითხვითი დავალებების შესრულების დროს.

ექსპერიმენტში მონაწილე სტუდენტებს დავურიგეთ სხვადასხვა თემატიკის ტექსტებიდან ამონარიდები და ვთხოვეთ, მოენიშნათ ის საკვანძო სიტყვები, რომლებიც მათ შინაარსის გაგებაში უშლიდათ ხელს. როგორც ვვარაუდობდით, მონიშნული სიტყვების უმრავლესობა იყო სპეციფიკური თემატიკის ტექსტებში (ბიზნესი, გეოგრაფია, მედიცინა და სხვ.) გამოყენებული სიტყვები და ტერმინები.

4.3. ქვეთავში დეტალურად არის გაწერილი ექსპერიმენტის მსვლელობა და მისი შედეგები.

ექსპერიმენტის მონაწილეები: ექსპერიმენტში მონაწილეობდა თესაუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტების, ბაკალავრიატის I და II კურსის 44 სტუდენტი (ინგლსიური ენის დონე - საშუალო; ასაკი -17-21 წელი).

ჩატარებული ექსპერიმენტი მოიცავდა შემდეგს:

საექსპერიმენტო ჯგუფში ცდის პირებს შევთავაზეთ სხვადასხვა სამეცნიერო თემატიკის ტექსტები, რომელთაც თან ერთვოდა ტექსტის თემატიკასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულების ჩამონათვალი ინგლისურენოვანი განმარტებებით. სტუდენტები ჯერ ეცნობოდნენ და სწავლობდნენ ლექსიკურ ერთეულებს, ხოლო შემდეგ დამოუკიდებლად, ავტონომიურად ასრულებდნენ დავალებებს.

ლექსიკური ერთეულების კარგად ათვისების მიზნით, სწავლის სტრატეგიებიდან გამოვარჩიეთ და გამოვიყენეთ ისეთი სტრატეგიები, რომლებიც ყველაზე ეფექურად ითვლება ავტონომიური სწავლის დროს:

1. მეტყველების ნაწილების გარკვევა;
2. სიტყვის შემადგენელი ნაწილების გაანალიზება;
3. სიტყვის დაკავშირება სინონიმებთან და ანტონიმებთან;
4. კონტექსტუალიზაცია;

5. სემანტიკური რუკის შექმნა;
6. ლექსიკონის წარმოება.

საკონტროლო ჯგუფში სტუდენტები კითხვით დავალებებს ასრულებდნენ ინსტრუქტაჟის მიღების შემდეგ, რომლებიც მოცემულია საერთაშორისო სასერტიფიკატო ტესტის მოსამზადებელ სახელმძღვანელოებში. ყურადღება კითხვის და არა ლექსიკური ერთეულების სწავლის სტრატეგიებზე მახვილდებოდა.

ექსპერიმენტის შედეგებმა ცხადყო, რომ ლექსიკური ერთეულების ცოდნას კითხვითი დავალებების შესრულების პროცესში, იქნება ეს წაკითხულის გააზრება, მრავლობითი შერჩევის დახურული ტიპის ტესტი (ლექსიკური ერთეულების შერჩევა), სიტყვათ წარმოება თუ ტექსტში გამოტოვებული წინადადებების ჩასმა, განმსაზღვრელი როლი აქვს. საექსპერიმენტო ჯგუფის შედეგებში მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა, მაშინ, როცა საკონტროლო ჯგუფის პროგრესი, შეიძლება ითქვას, იყო ძალიან დაბალი.

ექსპერიმენტის შედეგები:



ლურჯი ფერით - მოცემულია საკონტროლო ჯგუფის ტესტირების შედეგები (საშუალო არითმეტიკული)

მწვანე ფერით - საექსპერიმენტო ჯგუფის.

დასკვნები და რეკომენდაციები

- კითხვითი დავალებების შესრულების დროს მთავარი **პრობლემა გამოწვეულია სხვადასხვა თემატიკის, სპეციფიკური ლექსიკური ერთეულების არცოდნით.** პრობლემაა, აგრეთვე, **აკადემიური სიტყვები და მათი ფორმები.**
- იმისათვის, რომ საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდებზე გამსვლელმა აპლიკანტებმა კითხვითი დავალებები წარმატებულად შეასრულონ, **საჭიროა, მათ ჰქონდეთ სხვადასხვა თემატიკის ლექსიკური ერთეულების მარაგი.**
- ჩვენ მიერ **გამოყენებული სტრატეგიები (შემუშავებული დავალებები) მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ლექსიკური ერთეულების ათვისებას.**
- ინგლისური ენის **ავტონომიური შემსწავლელთათვის** უაღრესად მნიშვნელოვანია **ლექსიკური ერთეულების სწავლის ისეთი სტრატეგიების გამოყენება,** როგორებიცაა:

1. **აღმოჩენებით სწავლა;**
2. **დამახსოვრების სტრატეგიები.**

- ლექსიკური ერთეულების ცოდნას კითხვითი დავალებების შესრულების

პროცესში, იქნება ეს წაკითხულის გააზრება, მრავლობითი შერჩევის დახურული ტიპის ტესტი (ლექსიკური ერთეულების შერჩევა), სიტყვათ წარმოება თუ ტექსტში გამოტოვებული წინადადებების ჩასმა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

რეკომენდაციები:

1. პროფესორ-მასწავლებლებმა უნდა იზრუნონ ინგლისური ენის თითოეულ შემსწავლელში ისეთი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, რომლებიც საჭიროა ავტონომიური სწავლისთვის;

2. თვითრეგულაცია უაღრესად მნიშვნელოვანია, როგორც ავტონომიური სწავლის წარმატებულად წარმართვის, ასევე, გამოცდებზე შფოთვის დონის შემცირების თვალსაზრისით;

3. გაითვალისწინეთ, სწორად გაკეთებული კომენტარი, შენიშვნა, წახალისება, შექება ადეკვატური თვითშეფასების ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა;

4. მიეცით ინგლისური ენის შემსწავლელებს საშუალება, ისაუბრონ წაკითხულის შესახებ; გამოთქვან საკუთარი აზრი, თუ როგორ გაიგეს ტექსტი. ეს სტრატეგია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს წაკითხულის გააზრების უნარის გამომუშავებას;

5. კურსის დასაწყისშივე განსაზღვრეთ შემსწავლელთა ლექსიკური ერთეულების ცოდნის დონე;

6. მიაწოდეთ შემსწავლელებს სხვადასხვა თემატიკის ლექსიკური ერთეულების ჩამონათვალი გამოცდის წინამოსამზადებელ პერიოდში, რათა ზოგადი წარმოდგენა შეექმნათ ამა თუ იმ საკითხზე და შეძლებისგვარად აითვისონ ის სპეციფიკური ლექსიკა, რაც სხვადასხვა სფეროსთვის (მედიცინა, მეცნიერება, ბიზნესი, ასტროლოგია, გეოგრაფია და სხვა) არის დამახასიათებელი.

რეკომენდაციები აპლიკანტებს:

- აქტიურად გამოიყენეთ ლექსიკური ერთეულების სწავლის სტრატეგიები:

1. მეტყველების ნაწილების გარკვევა;
2. სიტყვის შემადგენელი ნაწილების გაანალიზება;
3. სიტყვის დაკავშირება სინონიმებთან და ანტონიმებთან;
4. კონტექსტუალიზაცია;
5. სემანტიკური რუკის შექმნა;
6. ლექსიკონის წარმოება.

მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციებით მნიშვნელოვნად დავეხმარებით საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდებზე გამსვლელ აპლიკანტებს ავტონომიური კითხვის დროს ლექსიკური ერთეულების აღქმა-გაგებით გამოწვეული პრობლემების გადაჭრაში.

დისერტაციის თემატიკასთან დაკავშირებული ნაშრომები ასახულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. კოჭაური, მ. (2017). კითხვითი დავალებების სირთულეები ინგლისური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდის ტესტში. *IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“.* ქუთაისი (გვ. 216-221).

2. კოჭაური, მ. (2015). შემსწავლელთა ტიპები და ავტონომიური სწავლა. *კულტურათაშორისი დიალოგები III.* თელავი: მერიდიანი (გვ. 302-306).

3. კოჭაური, მ. (2014). წასაკითხი მასალის ტიპები და მათი შერჩევის ძირითადი ფაქტორები. *საერთაშორისო სამეცნოერო კონფერენცია „განათლების ინოვაციური ორიენტირები“.* თბილისი: ემ-პი-ჯი (გვ. 16-24).

4. კოჭაური, მ. (2010). “The Role of Motivation in Language Learning”. “Teaching foreign languages and their problems of development”. Ganja: Tipoqrafiya

Iakob Gogebashvili Telavi state University

With the right of manuscript

Maka Kochauri

Problems of Perceiving and Comprehending Lexical Units during the Autonomous Text Reading

(on the basis of International Certificate Exam Tests)

Dissertation presented for gaining the Doctor's Academic Degree in Education Sciences

(Specialty: English Language Teaching Methodology)

A B S T R A C T

Telavi

2017

The dissertation has been carried out at the Department of Education Sciences, Faculty of Education Sciences, Iakob Gogebashvili Telavi State University.

Academic Supervisor: **Manana Garibashvili**
Professor, Doctor of Pedagogical Sciences

Reviewers: **Irma Mesiridze**
Associate professor, Doctor

Ketevan Kakhiani
Associate Professor, Candidate of Psychological Sciences

Dissertation Defense will be held on "_____" _____, 2017, at _____ o'clock at the meeting of the Dissertation Board of the Faculty of Education Sciences, Iakob Gogebashvili Telavi State University, building _____, room _____.

Address: N1Qartuli Universiteti St.,
Telavi, 2200, Georgia.
Tel.: +995 350 27 24 01

The Dissertation is available in Iakob Gogebashvili Telavi State University Library and on website: http:/tesu.edu.ge

Scientific Secretary of the Dissertation Board :
_____ **Nino Basilashvili**

Associate Professor

General Overview of the Dissertation

The process of globalization significantly increases the role of foreign languages, especially English, in social, political, economical, communicational and educational fields. Consequently, the topicality of English Language International Certificate Exams is realistic. This is proved by the fact, that millions of people in more than 130 countries take TOEFL, IELT and CIE exams.

Foreign language learners have opportinies to learn a langage and get education independently, autonomously with the help of modern technologies. It should be noted that the term “autonomous learning” is not very old.

Our research results have revealed that most of the problems during autonomous readind are related to the perception and comprehension of lexical units.

Due to the demand and necessity of international certificates in modern global world, we consider that our **dissertation topic is actual** and if considering the fact, that there are not many works about our research problem, it can undoubtedly be admitted as a **scientific novelty** and the first effort done for researching the topic thoroughly.

The aim and objectives of the dissertation:

The aim of our resesach is to help applicants to solve the problems related to the perception and comprehension of lexical units during autonomous learning at the preparatory stage of English Language International Certificate examinations.

Research objectives are the following:

1. Do all learners have the same learning abilities?

2. What are the problems that English Language Intenational certificate examinees face?

3. Can unknown lexical units obstruct doing reading tasks successfully?

4. Drawing out (working out) the means of solving the problems.

5. Observing how the means presented by us help language learners while doing reading tasks autonomously.

The research tasks are the following: How to help applicants in solving the problems related to perception and comprehension of lexical units during the autonomous reading the preparation

courses of English Language International Certificate Exams.

The research object: problems related to lexical units **that** occur while doing reading task of the International Certificate Exam sample.

The research hypothesis: If we provide applicants with different theme word lists with their definitions and relevant tasks at the preparatory stage of International Certificate Exams, their vocabulary knowledge will be enriched. This will help them to do reading tasks successfully.

The practical value of the work lies in our research and findings, that can be used by teachers and professors, as well as by potential applicants of International Certificate exams (students, pupils etc.).

The theoretical value of the research lies in those scientific works and publications that were introduced and used by us during our work on dissertation; also, the theoretical findings that were formulated according to the experiment results, conclusions and recommendations.

The structure of the dissertation:

The dissertation consists of an introduction, four chapters, conclusion, recommendations, references and appendices.

Chapter 1, “pedagogical and psychological principles of autonomous learning (autonomous reading) “, presents the history of the topic as well as pedagogical and psychological aspects of autonomous reading;

Chapter 2, “methodological aspects of autonomous reading”, discusses the problems of learning and teaching, motivation and relationship between learner autonomy and learner styles.

Chapter 3, “reading tasks in international certificate exam tests and problematics in the perception and comprehension of lexical units”, covers the following topics: text types applied in the reading session of the international certificate exam tests; problematics in the perception and comprehension of lexical units.

Chapter 4, “experiment and its results”, comprises four sub-chapters.

Sub-chapter 4.1. Describes research aim (purpose) and methodology in details**.**

Sub-chapter 4.2. Presents pre-experimental history and all the procedure preceeding the experiment.

The aim of the first stage of our research was to find out the relationship between learner styles and autonomous learning ability.

The research was conducted in 2013, at Telavi state University and Georgian National University. 118 sudents of different specialty took part in the research. The purpose of the research was:

1. To find out which learning style each student belonged to via VAK test;

2. To establish which learning style has more opportunity to develop autonomous learning ability via SDLRS.

Research results:

Autonomous learning ability	visual	Auditory	Kinesthetic	Mixed style
Low results	41%	42%	28%	33%
Average	22%	26%	36%	25%
High ressults	37%	32%	36%	42%

Research results showed that there is no significant difference between the correspondence of learning styles and autonomous learning ability.

The aim of the second stage of the research was to reveal the difficulties in International Certificate Exam tests.

We made up a questionnaire which was filled in by about 70, 12th grade pupils of Telavi public schools and 1st year students of Telavi State University. Majority of the people questioned appeared to be aware of international Language Certificate exams. TOEFL seems to be most popular among the exams. As for the most interesting and actual question:

Which section of the test do you find difficult?

1. Listening section;
2. Reading section (unknown text with different tasks);
3. Grammar section;
4. Writing section (letter, report etc.)

We got the following answers:



Test results revealed completely different indices.

Most of the research participants got lower points in reading tasks than in listening section. As for

grammar and writing, test results almost coincided questionnaire answers. Test results were the following:

- Low points in listening tasks – 22%;
- Reading – 33%;
- Grammar – almost the same as in questionnaire answers- 8%;
- Writing – 37%.



The next step of the research was to describe reading task types and to identify problems connected with them.

Research is based on the data of more than 80 ERASMUS+ International Cedit Mobility Programme applicants' test results.

Data of the tasks, actual for our research, is presented below:

Points (percentage)	I Word formation	II Multiple choice test (vocabulary)	III Multiple choice test (reading comprehension)	IV summarizing (reading comprehension)	VGap filling
80% -100%	6 st.	3st.	18 st.	0 st.	9 st.
60%-80%	7 st.	28 st.	35 st.	9 st.	12 st.
40%-60%	32 st.	27 st.	12 st.	51 st.	25 st.
20%-40%	20 st.	20 st.	10 st.	15 st.	24 st.
0%-20%	15 st.	2 st.	3 st.	5 st..	7 st.

The next step of the research was to ascert those lexical units (exact categories and themes) which form the greatest obstacles during reading task performance.

We gave students extracts from different thematic texts and asked them to mark the key words which obstructed text comprehension. As

supposed, most of the marked words were terms of art used in specific, thematic texts (business, geography, medicine, etc.).

Sub-chapter 4.3. The process of the experiment and result are scrupulously described.

Participants: 44 students (I and II courses, 17-21 age; intermediate level,) of Telavi State University, Faculty of Humanities and Faculty of Social Sciences, Business and law, took part in the experiment.

Experiment conducted by us comprised the following:

Students in the experimental group were given different scientific texts and word lists with their English definitions. Students had to learn new words related with the topic and afterwards they had to do the reading tasks aunomously.

In order to learn the words effectively, we sorted out the vocabulary learning strategies that are believed to be the most efficient during autonomous learning:

1. analysing parts of speech;
2. defining word parts;
3. using synonyms and antonyms;

4. contextualization;
5. creating semantic maps;
6. making a dictionary.

Students in the control group did reading tasks after introducing the instructions given in the most international certificate test preparatory books. Reading strategies were emphasized and not vocabulary learning strategies.

The results of the experiment have proved that vocabulary knowledge is essential in the process of doing reading tasks (reading comprehension, multiple choice cloze test, word-formation, gap filling). Students in the experimental group made a considerable progress during the experiment, while the progress of the students in the control group was quite humble.

The results of the experiment:



Green colour – experimental group

Blue colour – control group

Conclusions and recommendations:

- The main problem of doing reading tasks is caused by the ignorance of different thematic, specific lexical units.another problem is related to academic words and their forms.

- In order to do reading tasks successfully, applicants should have stock of different thematic vocabulary knowledge.

- Vocabulary learning strategies used by us significantly help English language learners acquire lexical units.

- The most efficient larning strategies for autonomous learners are: discovery and consolidation strategies.

- The knowledge of lexical units while performing reading tasks like: reading comprehension, multiple choice cloze test (choosing appropriate word), word formation and gap filling, has a crucial role.

Recommendations:

- **Teachers, professors and lecturers** should be concerned about developing autonomous learning abilities among learners.

- Self-regulation has crucial importance for successful autonomous learning, as well as for decreasing nercousness during exams.

- Take into consideration, that adequate comments, remarks, encouragement, praising are indispensable terms for the development of adequate self-evaluation.

- After reading a text, let English language learners talk about it, express opinions. This will help develop reading comprehension skills.

- Define the level of vocabulary knowledge at the beginning of the course.

- At a preparatory stage of the international certificate exams, provide students with different thematic word lists with their English definitions in order to enrich their vocabulary knowledge in different scientific fields (medicine, sciences, business, astrology, geography, etc.).

Recommendations for applicants:

- Use the following vocabulary learning strategies:

1. defining parts of speech;

2. analyzing word parts;

3.associating words with synonyms and antonyms;

4. contextualization;

5. creating semantic maps;

6. Making a dictionary.

We think, that presented recommendations will help English language international certificate exam applicants solve problems related to perceiving and comprehending lexical units during autonomous reading.

Works related to the Dissertation topics are depicted in the following publications:

1. Kochauri, M. (2017). Reading Task Difficulties in the International English Language Certificate Test. *IV International Scientific Conference "Language and Culture".* Kutaisi (pp. 216-221).

2. Kochauri, M. (2015). Learner Styles and Autonomous Learning. *International Scientific Conference "Intercultural Dialogues" III.* Telavi: Meridiani (pp. 302-306).

3. Kochauri, M. (2014). Types of Reading Materials and Factors of their selection. *International Scientific Conference "Innovative Orientations in Education".* Tbilisi: MPG (pp. 16-24).

4. Kochauri, M. (2010). "The Role of Motivation in Language Learning". "Teaching foreign languages and their problems of development". Ganja: Tipoqrafiya